ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
MTSKHETA MUNICIPALITY CITY HALL

წერილის ნომერი: **34-3423223124**
თარიღი: **11/08/2023**

ადრესატი: გვანცა გიგაური
პირადი ნომერი: 31001053277
მისამართი: მცხეთა, სოფელი ნავდარაანთკარი, მე–9 ქ. N10; ელექტრონული ფოსტა: foi+request-2835-ee1f4a5e@askgov.ge

ქალბატონო გვანცა,

საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე, თქვენი 2023 წლის 2 აგვისტოს განცხადების (მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიაში რეგისტრაციის N19/3423214117-34, 02.08.2023წ.) პასუხად, რომლითაც ითხოვთ ინფორმაციას სოფლების: წეროვნის, წილკნის და ნაოზის 2019-2023 წლების ბიუჯეტების და აღნიშნულ სოფლებში განხორციელებული და განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ, გაცნობებთ, რომ მცხეთის მუნიციპალიტეტში შემავალ ქალაქს და სოფლებს ცალ-ცალკე ბიუჯეტი არ გააჩნიათ და მცხეთის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი სხვადასხვა სამუშაოები, მათ შორის, ინფრასტრუქტურული, ასახულია მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში. რაც შეეხება ინფორმაციას, ზემოთ დასახელებულ სოფლებში, 2019-2023 წლებში, განხორციელებულ და განსახორციელებელ ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ, გაცნობებთ, შემდეგს:

- სოფელ წეროვანში რეაბილიტაცია ჩაუტარდა შიდა საუბნო გზებს - განხორციელდა შიდა საუბნო გზების ასფალტბეტონის საფარით მოწყობის სამუშაოები; მოეწყო გარე განათება, ავტობანის მიწისქვეშა გადასასვლელთან კი - სანიაღვრე არხი; გაწმენდილ და რეაბილიტირებულ იქნა საკანალიზაციო ქსელი, სადარაჯო, სასაწყობო შენობები და ამბულატორია; სოფელში არსებული ერთ-ერთი შენობა გადაკეთდა სასპორტო დარბაზად, გარდა ამისა, მოეწყო სკვერი. სოფელ წეროვნის იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახლებაში რეაბილიტირებულ და კეთილმოწყობილ იქნა შიდა საუბნო გზები და სანიაღვრე სისტემა; ასევე რეაბილიტაცია ჩაუტარდა მინი სპორტულ მოედანს, მოეწყო სკვერი და ტრენაჟორები; სოფელ წეროვნის კვლევითი ინსტიტუტის დასახლებაში, რეაბილიტირებულ იქნა სასპორტო მოედნები.

- სოფელ წილკანში რეაბილიტირებულ იქნა შიდა საუბნო გზები, სასმელი წყლის ჭაბურღილი და რეზერვუარი, საჭიდაო დარბაზი და ამბულატორიის შენობა; რიგ ქუჩებზე მოწყობილ იქნა გარე განათება და სკვერები, ასევე მოეწყო სანიაღვრე არხი. ხოლო წილკნის დევნილთა დასახლებაში განხორციელდა გზის, მინი სპორტული მოედნის და სკვერის სარეაბილიტაციო სამუშაოები; აშენდა სარიტუალო სახლი, მოეწყო არჩილ ტატუნაშვილის სახელობის სკვერი, სელექციის დასახლებაში კი რეაბილიტირებულ იქნა შიდა საუბნო გზები.

- სოფელ ნავაზში მოეწყო სასმელი წყლის ჭაბურღილი და სასმელი წყლის სისტემა, შესყიდულ და დამონტაჟებულ იქნა ტრენაჟორები; სოფლის საჯარო სკოლაში ჩატარდა სანიტარული კვანძების მოწყობის სამუშაოები, რეაბილიტირებულ იქნა შიდა საუბნო გზები. დღეის მდგომარეობით, შესყიდულია სოფელ ნავაზის შიდა საუბნო გზის ასფალტბეტონის საფარით მოწყობის დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია და მიმდინარე წელსვე შესრულდება ხსენებული პროექტით განსაზღვრული სამუშაოები.

პატივისცემით,

დიმიტრი ზურაბიშვილი

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი